პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 204 (5494)

14 ოქტომბერი, სამშაბათი, 1975 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

შაბათს აღიმართა ასპარეზობის ალამი, კვირას კი დამთავრდა შეჯიბრებები ცურვაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და საგზატკეცილო ველორბოლაში.

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ „განთიადის", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „კოლმეურნის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვებისა" და „ვოდნიკის" გუნდები. გუშინ დამთავრდა შეჯიბრებები ცურვაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და საგზატკეცილო ველორბოლაში.

შაბათს სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა „ლოკომოტივის" აუზზე. შეჯიბრების მონაწილეებს მისალმა და შრომაში, სწავლასა და სპორტში წარმატებები უსურვა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ.

სპარტაკიადის ალმის აღმართვის შემდეგ დაიწყო მოცურავეთა ტურნირი, რომელშიც სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა — 176 მოცურავე ჩაება. ტანმოვარჯიშეებს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" დარბაზი მასპინძლობდა, ველოსიპედისტები კი წითელი ხიდის მიდამოებში ასპარეზობდნენ.



ამ სურათებზე სპარტაკიადის მომენტებია აღბეჭდილი. სპორტის ოსტატის პროგრამით შეჯიბრებაში გამარჯვებული განთიადელი ტანმოვარჯიშეები (მარცხნიდან): ე. ფხაკაძე (II ადგილი), ს. დუდა (I ადგილი) და ვ. ვისოტინა (III ადგილი) ასპარეზობის შემდეგ ჯილდოებს ათვალიერებენ; 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული ქუთაისელი სპორტის ოსტატი ტ. კოსტარიოვა („განთიადი") დისტანციაზე; ველოსპორტში გუნდური რბოლის მომენტი. დისტანციაზე არიან „ბურევესტნიკის" სპორტსმენები.

ო. გელაშვილის ფოტოები.

„მსოფლიოს თასზე" ლონდონში

გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ტიტოვი

— 27-29 ოქტომბერს ლონდონში ტანვარჯიშის ისტორიაში პირველად გაიმართება მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი, რომელმაც მიიღო ოფიციალური სახელწოდება — „მსოფლიოს თასი". საბჭოთა სპორტსმენებიდან აქ იასპარეზებენ: ქალები — ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, როსტოველი ლ. ტურიშჩევა, ოლიმპიური ჩემპიონი, გროდნოელი ო. კორბუტი, ოლიმპიური ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში, მოსკოველი ე. საადი, მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, თბილისელი ნ. დორონოვა, მინსკელი ლ. გორბიკი და ლენინგრადელი ო. კოვალი; ვაჟები — ოლიმპიური ჩემპიონი, ვლადიმირელი ნ. ანდრიანოვი, თბილისელი პ. შამუგია, ლვოველი ვ. საფრონოვი და ლენინგრადელი ა. დიტიატინი, — აუწყა საქდესის კორესპონდენტს საკავშირო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების გამგემ, საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ტიტოვმა.

„მსოფლიოს თასის" შეჯიბრებაში სასპარეზოდ საერთაშორისო ფედერაციამ მიიწვია 1974 წელს ვარნაში გამართულ მსოფლიოს პირად-გუნდურ ჩემპიონატში I-XII ადგილებზე გასული ტანმოვარჯიშე ვაჟები და ქალები, აგრეთვე, თავისი შეხედულებისამებრ კიდევ რამდენიმე ცნობილი ოსტატი.

სამწუხაროდ, მონაწილეთა რიცხვში ვერ მოხვდნენ მრავალჭიდის ცალკეული სახეობების მსოფლიო ჩემპიონები დ. გრეკუ (რუმინეთი), ე. გინგერი (გფრ), ზ. მადიარი (უნგრეთი). ეს, რა თქმა უნდა, შეჯიბრებას რამდენადმე გააღარიბებს.

„მსოფლიოს თასის" გათამაშებები დაგეგმილია მოეწყოს ოთხ წელიწადში ერთხელ. ეროვნული ფედერაციები კი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ასეთი შეჯიბრებები მოეწყოს ყოველწლიურად, რაც, რა თქმა უნდა, უფრო სწორია.

„მსოფლიოს თასის" გათამაშების ჩატარება მიზანშეწონილია ზაფხულის დამლევს კონტინენტური ჩემპიონატების დამთავრების ორი-სამი კვირის შემდეგ. ჯერჯერობით ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს სპორტის ამ ლამაზი სახეობის განვითარებას აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში. აქამდე ამ ქვეყნებში არ ტარდება პირადი ჩემპიონატები.

არ შეიძლება არაფერი ვთქვათ „მსოფლიოს თასის" პირველი შეჯიბრების ორგანიზატორების მეტისმეტ ანგარიშიანობაზე. აკლიმატიზაციისა და ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ იარაღების გასასინჯად სპორტსმენებს მხოლოდ ერთი დღე — 26 ოქტომბერი აქვთ. ოფიციალურად მიწვეულია მხოლოდ ორი მწვრთნელი: საბჭოთა — ტანმოვარჯიშე ქალებისთვის, ხოლო იაპონელი — ვაჟებისთვის. ეჭვი არ გვეპარება ამ სპეციალისტების მაღალ კვალიფიკაციაში, მაგრამ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში ყოველი ქვეყნის წარმომადგენელს თავისი მწვრთნელი ჰყავს, თანაც ქალებსა და ვაჟებს — ცალ-ცალკე.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, — დაასკვნა ტიტოვმა, — შეჯიბრებები, სადაც თავს მოიყრიან მსოფლიო ტანვარჯიშის ვარსკვლავები, ჩაივლის საინტერესოდ, იქცევა სპორტის დღესასწაულად და ჩვენი წარგზავნილებიდან საუკეთესონი გამარჯვებებით გაგვახარებენ. (საქდესი).

ახალი ამბავი-75

● მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ტამბოველმა ოსტატობის კანდიდატმა ნ. პოპოვმა 30 კილომეტრზე ტრადიციული საკავშირო გარბენის (ტარასოვკა — მოსკოვი) მთავარი პრიზი მოიპოვა. ძმების სერაფიმ და გიორგი ზნამენსკების ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამარჯვებულის დროა 1:34.06,2. პოპოვმა წუთზე მეტით ჩამოიტოვა მეორე და მესამე პრიზიორები — კოსტრომელი ა. რუმიანცევი და ბრიანსკელი ვ. ფინოშკინი. 50 წელს გადაცილებულ მორბენალთა შორის ფინიშთან პირველი იყო აპატიტელი ა. არხიპოვი, რომელმაც 10 კილომეტრის დაფარვას 36 წუთი და 14 წამი მოანდომა. ავდრის მიუხედავად (ციოდა, ოდნავ თოვდა კიდეც), შეჯიბრებაში ასზე მეტი მძლეოსანი მონაწილეობდა.

● ჰელსინკი, 12 ოქტომბერი. ფინეთის დედაქალაქში დიდი წარმატებით ჩაიარა ფიგურული ციგურაობის საბჭოთა ოსტატების გამოსვლამ. „ჰელსინგინ სანომატი" წერს, რომ „სსრ კავშირიდან ჩამოსულმა ვარსკვლავებმა ჰელსინკი დაიპყრეს". გაზეთი ხოტბას ასხამს წყვილთა სრიალში მსოფლიო ჩემპიონებს ი. როდნინასა და ა. ზაიცევს, ყინულზე სპორტულ ცეკვებში მსოფლიო ჩემპიონებს ი. მოისეევასა და ა. მინენკოვს, აგრეთვე, სხვა საბჭოთა ფიგურისტებს.

„ტრეკ ენდ ფილდ ნიუსი": „სანეევს თავისი უნდა მივუზღათ"

აშშ-ს მძლეოსნური ჟურნალის „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსის" ბოლო, ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია მასალა, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ აქამდე არ ვაძლევთ ჩვენს თავს ანგარიშს იმაში, თუ რა დონის სპორტსმენია საბჭოთა მძლეოსანი ვიქტორ სანეევი. არა და მას ხომ თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მძლეოსანი. მოქმედ სპორტსმენთაგან იშვიათად თუ გაუგონია ვინმეს თავის თავზე ასეთი შეფასებები, მაგრამ სანეევი ყოველგვარ ქებას იმსახურებს.

საბჭოთა მძლეოსანს აგერ უკვე მრავალი წელია ბადალი არ ჰყავს დიდ შეჯიბრებებში. ჩვენი ჟურნალი შვიდი წლის მანძილზე ზედიზედ ასახელებს მას მსოფლიოს საუკეთესო ოსტატად სამხტომში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს წელიწადიც არ იქნება მისთვის გამონაკლისი. თავად განსაჯეთ: მთელს სეზონში, კაცმა რომ თქვას, არც ერთი დამარცხება. იგი მედგრად უახლოვდებოდა მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ ნიშანს, რომელიც მასვე ეკუთვნის. სეზონის საუკეთესო შედეგების ცხრილში სანეევს ოთხი ზედა სტრიქონი უკავია. იგი არც თუ უსაფუძვლოდ შეიძლება მივიჩნიოთ 1975 წლის საუკეთესო მძლეოსნის სახელის პრეტენდენტად.

მივუზღათ სანეევს თავისი: იგი მონრეალში გამარჯვების ასპროცენტიანი პრეტენდენტია. და თუ ეს მოხდა, ვიქტორ სანეევი მესამე მძლეოსანი იქნება მსოფლიო სპორტის ისტორიაში, რომელიც ჩემპიონი გახდა სამ ოლიმპიურ თამაშებში".

„სოვეტსკი სპორტი".

სურათზე: ვ. სანეევი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

მზდ კომპლექსს — ფართო გზა!

შეჯიბრება მეორე დღეს უფრო საინტერესო გახდა, ყველა საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში დაწინაურებულებს სროლასა და ცურვაში ასპარეზობის მერე სხვები წამოეწივნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ უძლიერესები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშების რესპუბლიკური პირველობის ბოლო დღეს უნდა დაესახელებინა. მართლაც, „ლოკომოტივის“ აუზიდან, „დინამოსა“ და კიროვის რაიონის დოსააფის სასროლეთებიდან „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაბრუნებულთა ასპარეზობამ სიგრძეზე ხტომასა და კროსებში ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი, მაგრამ ყველაფრის გარკვევა მაინც ვერ შეძლო.

როცა ტურნირები დამთავრდა და მთავარ სამდივნოში შედეგები შეაჯამეს, გამოირკვა, რომ I საფეხურის ნორმატივების ჩამბარებელ გოგონათა შორის ჩემპიონი გამოვლენილი არ იყო: მ. საფონკოვასა (ზუგდიდი) და ი. რულკოს (აფხაზეთი) 160-160 ქულა დაეგროვებინათ. მეტოქეებს ქულათა მაქსიმუმი (45-45) სამ-სამ სახეობაში მიეღოთ. მაშინ ცალკეულ სახეობებში მათ მიერ ნაჩვენები შედეგების გადასინჯვა გახდა საჭირო, აქ კი რულკოს მცირე უპირატესობა აღმოაჩნდა და ჩემპიონობა მას მიეკუთვნა (მესამე იყო აჭარის წარმომადგენელი ლ. ჟავორონკოვა — 143 ქულა).

საკავშირო ტურნირში წარმატების ყველაზე მეტი შანსი მაინც მაიაკოვსკელ მოსწავლეს ლ. მაისურაძეს ექნება ეს ბიჭუნა თბილისში უდავოდ ნიჭიერ მრავალჭიდელად მოგვევლინა — ხუთიდან ოთხ სახეობაში განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწია: ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში, ცურვასა და 500 მეტრზე რბენაში ქულათა მაქსიმუმი მიიღო, სიგრძეზე ხტომაში 41 ქულა დაიმსახურა, 60 მეტრზე რბენაში კი ცოტა წაიფორხილა — მანძილი 8,4 წამში გაირბინა (18 ქულა). მაისურაძე 60 მეტრზე რბენაში თბილისურ შედეგს კიდევ უფრო თუ გააუმჯობესებს, არტეკიდან ხელცარიელი არ დაბრუნდება. მაგრამ მაისურაძე იქ მარტო არ იქნება: მას თბილისში ოდნავ ჩამორჩნენ ი. კუკულაძე (აჭარა, 190 ქულა) და გ. ზაუტაშვილი (გორი, 189)...

II საფეხურის ნორმატივების ჩამბარებელთა შეჯიბრებაში გოგონათა შორის ყველაზე სტაბილურად იასპარეზა ი. შტემპელმა. მისი ფიზიკური მომზადება და გამარჯვებისკენ სწრაფვა სათანადოდ დაფასდა — სპორტსმენმა 150 ქულა მოაგროვა და მეორე პრიზიორი ვ. სანჟაპოვა (აჭარა, 134 ქულა) საგრძნობლად ჩამოიტოვა. III ადგილზეც აჭარის გუნდის წევრი გავიდა, მაგრამ ს. ზენკოს შედეგი (39 ქულა) ლიდერების მაჩვენებლებთან შედარებით საკმაოდ უფერულია.

V საფეხურის ნორმატივების ჩამბარებელი კაცები ჭაბუკებივით ასპარეზობდნენ. ნახევარ საუკუნეს მიღწეული ადამიანები და 60 წელს გადაცილებულნიც ზოგჯერ 18-19 წლის ვაჟებზე უკეთეს შედეგებს აღწევდნენ: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრის დოცენტმა, 63 წლის ს. ილინმა ტყვიის სროლაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი მოიპოვა — ხუთივე ტყვია სამიზნის ცენტრში „ჩასვა“, ცურვაში კი ბევრი მასზე 20-30 წლით ახალგაზრდა ჩამოიტოვა და ჩემპიონი გახდა. იგი V საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდა.

ერთი სიტყვით, სამდღიან ასპარეზობაში ბევრი რამ იყო საინტერესო და საიმედო, მაგრამ, სამწუხაროდ, ფორმალიზმის, სიყალბის, თვალის ახვევის მცდელობის ფაქტებსაც შევხვდით.

როცა საქართველოს პირველობის ზონალური ტურნირების შედეგებს ვეცნობოდით, გამარჯვებული რაიონების ნაკრები კოლექტივების წევრთა მაჩვენებლები გვაიმედებდნენ, რომ თბილისში ყველა საფეხურზე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდებოდა. უმეტესი საფეხურების ნორმატივების ჩაბარებაში მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ტურნირში მონაწილე 12 კოლექტივის 400-ზე მეტი ფიზკულტურელიდან გამარჯვებისთვის ყველა საკუთარი ძალით, სიმარდით, ამტანობით როდი იბრძოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც პირველივე მარცხის შემდეგ სარბიელი მიატოვეს, და ისეთებიც, რომლებმაც „სათადარიგოები“ გამოიყენეს: დარჩენილ სახეობებში თავისი სახელით სასპარეზოდ სხვები გაუშვეს. ყოველივე ეს ზოგჯერ გუნდების ხელმძღვანელების ხელშეწყობითაც ხდებოდა (!).

ქუთაისელებმა III საფეხურის ნორმატივების ჩაბარების დროს ცურვაში ავტომექანიკური ტექნიკუმის მოსწავლის ვ. ზენინის მაგიერ ქუთაისის მე-17 სკოლის მეექვსეკლასელი ა. პოტაპოვი გამოიყვანეს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მსაჯთა კოლეგიამ ორივე ქუთაისელი შეჯიბრებიდან მოხსნა.

ვალში არც აჭარის გუნდი დარჩა. მ. დუმბაძე სახანძრო-გამოყენებით სპორტში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა, — სპორტის ოსტატიც გახლავთ, მაგრამ ახლა ძალაუნებურად გვეეჭვება, იქნებ ეს წოდება სხვისი დახმარებით მოიპოვა, ისე, როგორც აქ, თბილისში ცდილობდა ფონს გასვლას. საქმე ის არის, რომ IV საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფის ნორმატივების ჩამბარებელთა შორის ცურვაში დუმბაძემ თავის მაგიერ სტარტზე სხვა (მისი ვინაობის დაზუსტება ვერ მოვახერხეთ) გაუშვა.

იმასაც ვიტყვით, რომ სრული გუნდით სასპარეზოდ ზონებში გამარჯვებული ყველა კოლექტივი არ გამოცხადდა, ამიტომაც განსაკუთრებით დაბალი შედეგებით დაკმაყოფილდნენ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სიღნაღისა და ბორჯომის რაიონების სპორტსმენებმა ერთად უფრო ცოტა ქულა მოაგროვეს, ვიდრე მარტო თბილისის ნაკრებმა, გუნდების რიცხობრივი შემადგენლობა კი ყველასთვის ერთნაირი იყო.

კვლავ დაბალია ქალთა მომზადების დონე. IV და V საფეხურების ნორმატივების ჩაბარებაში მეორე და მესამე პრიზიორები ვერ გამოვლინდნენ, ვინაიდან ამ ადგილებისთვის მებრძოლთაგან ყველა ნორმატივის ჩაბარება ვერავინ შეძლო. თბილისელმა ვ. კოვალმა, რომელიც V საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდა, საბოლოოდ 16 ქულა მოაგროვა, მისმა მეტოქემ ლ. შევჩენკომ (აფხაზეთი) — 15, მაგრამ იმის გამო, რომ კოვალს ერთ სახეობაში ნული ჰქონდა, ჩემპიონობა შევჩენკოს მიეკუთვნა.

ო. გელაშვილი.

• • •

სხვა ტექნიკური შედეგები

ქალები. III საფეხური. კ. გუმბა — 99, ტ. მიასოედოვა (ორივე — თბილისი) — 73, ი. დოჰჩენკო (აფხაზეთი) — 54; **IV საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი.** ს. ნოვოსელცოვა — 68, ვ. ანიკინა (ორივე — თბილისი) — 52, ც. კამლია (აფხაზეთი) — 51; **მეორე ასაკობრივი ჯგუფი.** თ. როქმანოვა (თბილისი) — 39. **V საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი.** გ. ზრაჟევსკაია (თბილისი) — 117, პ. ჩახჩალიძე (რუსთავი) — 79.

ბიჭები. II საფეხური. ნ. კოჩეტკოვი (აფხაზეთი) — 149, ვ. ჟურავსკი (აჭარა) — 131, ვ. კაზაკოვი (აფხაზეთი) — 129; **III საფეხური.** ა. ლუცენკო (თბილისი) — 80, რ. ხაჩატუროვი — 71, მ. ბურძგულაშვილი (ორივე — აჭარა) — 57. **IV საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი.** მ. ქათამაძე (თბილისი) — 83, ი. სამსონოვი (აფხაზეთი) — 81, ნ. ხუციშვილი (თბილისი). — 62; **მეორე ასაკობრივი ჯგუფი.** ლ. ზვერევი (რუსთავი) — 52, ნ. ვართანოვი (თბილისი) — 48, ა. მეტრეველი (აფხაზეთი) — 46. **V საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი.** დ. გაბუნია (ქუთაისი) — 136, ა. ნიჟარაძე (აჭარა) — 125, ვ. ბუკარევი (აფხაზეთი) — 108; **მეორე ასაკობრივი ჯგუფი.** ს. ილინი (თბილისი) — 102, ვ. ოგნევი (აფხაზეთი) — 56, ვ. სისუაშვილი (გორი) — 44.

საერთო გუნდური. თბილისი — 2677 ქულა, აჭარა — 2273, აფხაზეთი — 1978, რუსთავი — 1704, ზუგდიდი — 1389, გორი — 1330, ქუთაისი — 1301, მაიაკოვსკი — 1234, ჭიათურა — 1155, სამხრეთ ოსეთი — 961, სიღნაღი — 720, ბორჯომი — 632.

ჩემპიონის პირველი მოგება

ფრუნზე, 13 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალში 6 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

თამაშის განუახლებლად ე. ფატალიბეკოვამ (მოსკოვი) დათმო გადადებული პარტია თანაქალაქელ ლ. ბელავენეცთან, ხოლო ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) — ტ. ფომინასთან (ტალინი). ყაიმზე შეთანხმდნენ ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), მ. რანიკუ (ტალინი) — ტიტორენკო.

მ. ჩიბურდანიძემ (თბილისი) მოუგო თ. ბელოვას (ფსკოვი), მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) — ლ. საუნინას (სვერდლოვსკი), ნ. გურიელმა (თბილისი) — გრინფელდს, ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) — მედიანიკოვას. დაზავდნენ ლიტინსკაია — ბ. საძაგანოვა (ფრუნზე) და გურიელი — ლ. კრისტოლი (ლენინგრადი).

VII ტურში ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ. ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი) ლ. შჩერბინას (სვერდლოვსკი) ეთამაშა, ფომინა — ჩიბურდანიძეს. არც ერთი პარტია არ დამთავრებულა. თბილისელ მოჭადრაკეს უარესი პოზიცია აქვს.

პირველი გამარჯვება იზეიმა სსრ კავშირის ჩემპიონმა ფატალიბეკოვამ, რომელმაც ლიტინსკაიას მოუგო. მ. რანიკუ (ტალინი) დამარცხდა ლ. საუნინასთან, გურიელი — ბელავენეცთან. სხვა პარტიები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ახმილოვსკაიას, ფომინასა და შჩერბინას 4,5-4,5 ქულა აქვთ 6-დან, ბელავენეცსა და საუნინას — 4,5-4,5 ქულა 7-დან, ჩიბურდანიძეს — 4 ქულა 6-დან.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ბალინასი ღელავს

მანილის საერთაშორისო ტურნირის IX ტურში მხოლოდ ორმა ლიდერმა დაამთავრა შეხვედრა: ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) დაუზავდა ბ. ლარსენს (დანია), ი. ბალინასი (ფილიპინები) — ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია), ბალინასს დიდოსტატის ნორმატივის შესრულების კარგი შანსი აქვს და ამის გამო ზედმეტად ღელავს. გლიგორიჩთან იგი უტაქტოდაც კი მოიქცა: თანაბარ პოზიციაში მეტოქეს ჯერ ყაიმი შესთავაზა, მერე როცა ნახევარსაათიანი მოფიქრების შემდეგ გლიგორიჩმა დასტური მისცა, დაზავებაზე უარი თქვა — ყაიმი არ შემითავაზებიაო. ბოლოს ბოდიშის მოხდა დასჭირდა.

ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) პარტია ე. ტორესთან (ფილიპინები) წასაგებ მდგომარეობაში გადადო.

ჰ. პფლეგერი (გფრ) ლ. კავალეკთან (აშშ) ყაიმის შემდეგ ლიდერებს დაეწია. ლ. ოგაარდმა (ნორვეგია) მოუგო ნ. კარაკლაიჩს (იუგოსლავია).

VIII ტურიდან გადადებულ პარტიაში ლარსენი და პფლეგერი ყაიმზე შეთანხმდნენ.

9 ტურის შემდეგ ლიუბოევიჩს 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ბალინასს — 5, პოლუგაევსკის, პფლეგერს — 4,5-4,5.

სამი მოსკოველის წარმატება

კიშინიოვში, ვაჟთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის ტურნირის VII ტურში ანგარიში გაიხსნა ბ. გულკო (მოსკოვი) — ვ. სავონის (ხარკოვი) ყაიმით, რომელიც მეტოქეებმა 22 წუთში „გამოაცხვეს“. სწრაფად დაზავდნენ, აგრეთვე, ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი) და გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ვ. ტუკმაკოვი (ოდესა). ი. კლოვანი (რიგა) და ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) ყაიმზე მხოლოდ დაძაბული თამაშის შემდეგ შეთანხმდნენ.

კარგ პოზიციურ სტილში ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) მოუგო მ. პოდგაეცს (ოდესა). კომბინაციური თამაში გააჩაღეს დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ი. ივანოვმა (დუშანბე). დიდოსტატი უფრო მარჯვედ მოქმედებდა და გაიმარჯვა.

პირველი ქულა ჩაიწერა აქტივში კ. გრიგორიანმა (მოსკოვი) ი. დორფმანთან (ჟიტომირი) შეხვედრაში.

მ. ტაიმანოვის (ლენინგრადი) თხოვნით და ე. გუფელდის (თბილისი) თანხმობით მსაჯთა კოლეგიამ მათი შეხვედრა გადადებული პარტიების დამთავრების დღისთვის გადაიტანა.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბრონშტეინი, რაშკოვსკი — 5-5 ქულა, კლოვანი — 4,5 (1), ვასიუკოვი, სავონი — 4-4, გუფელდი — 3,5 (2).

ეს კარგია!

ჭიათურაში მძლეოსნობის განვითარების და მისი შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის დირექციამ გადაწყვიტა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩების დროს, როცა სტადიონზე ხალხმრავლობაა, ჩაატაროს ქალაქის სასკოლო პირველობა და ორი გარდამავალი თასი დააწესა ბიჭებისა და გოგონების გუნდებისთვის.

პირველი ასეთი შეჯიბრება გაიმართა ოჩამჩირის „ამირანისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ გუნდების მატჩის წინ და შუალედში.

საშუალო სკოლების მძლეოსანთა გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. თასების პირველი მფლობელნი გახდნენ მე-5 საშუალო სკოლის (დირექტორი ს. პაიჭაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ჯ. გოქსაძე) ქალთა და ვაჟთა გუნდები.

თასებისთვის ბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

შ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

„ლოკომოტივი“ ქულებს კარგავს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 ოქტომბერი. — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 8:9 (3:9).

„ლოკომოტივი“: მამისაშვილი (ქელბაქიანი), სუთიაშვილი (ზ. ანთაძე), შ. ხარშილაძე, ჯვარიძე, აბულაძე, ბერიშვილი (პეტუხოვი), ბუგიანიშვილი, დოლიძე, ზ. ხარშილაძე, კილასონია, ავლასტიმოვი, ედენტი, ფურცელაძე (მ. ანთაძე), რუხაძე, გიორგაძე.

„ბურევესტნიკი“: პრახინი (ლეონოვი), ნ. სმირნოვი (ბ. სმირნოვი), გამანიუკი, დმიტრიევი, ტამანოვი, კისელიოვი, ლარსკიხი, ხარლამოვი, აბალუევი, კრავეცი, პროკოპოვიჩი, ტრუნევი (ბარსკოვსკი), გულნიცკი, კალინინი, ზისმანი (ბარინოვი).

მსაჯი ლ. დანილოვი (მოსკოვი).

წინა ტურში კიევის „სპარტაკთან“ დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ თბილისელები, რომლებიც უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშ ზონაში არიან, მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდებოდნენ და „ბურევესტნიკთან“ მატჩში ორ ქულას აიღებდნენ.

ლენინგრადელების საქმე გადაწყვეტილია: გაისისთვის ისინი პირველ ლიგას დაუბრუნდებიან, ვინაიდან დარჩენილ მატჩებში მათ არაფერი შველის. და მაინც, სტუმრებმა ენერგიულად, დიდი მონდომებით ითამაშეს და დაამარცხეს „ლოკომოტივი“, რომელსაც იმ დღეს ვერ ვიცნობდით.

მართალია, მატჩის არბიტრისა და გვერდითი მსაჯების საქმიანობა სიზუსტით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი ლენინგრადელთა მიმართ მიკერძოებას იჩენდნენ; უბრალოდ, უხეშ შეცდომებს უშვებდნენ, რაც მატჩის მსვლელობაზე გავლენას ახდენდა. განსაკუთრებით გვაკვირვებს დანილოვის არაკვალიფიციური მსაჯობა. იგი საკმაოდ გამოცდილი და ბევრის მნახველი არბიტრია, მაგრამ კვირის მატჩში იგი არადამაკმაყოფილებელ შეფასებას იმსახურებს.

რაგბი

მაგრამ „ლოკომოტივის“ წაგების მთავარი მიზეზი მსაჯების შეცდომები კი არ იყო, არამედ ის, რომ იგი მეტოქეს ჩამოუვარდებოდა როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური მომზადებით.

ლენინგრადელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, მასპინძლები კი ხეირიანად ვერც მარაოს შლიდნენ, ვერც ბურთს ჰკიდებდნენ მეტოქის ნახევარზე, აუტსაც ხშირად აგებდნენ და შერკინებასაც.

ეს არ იყო „ლოკომოტივის“ შემთხვევითი მარცხი. რკინიგზელ რეგბისტთა გუნდი მეორე წრეში ყველაზე სუსტ კოლექტივად მოგვევლინა — მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო და თუ იგი გაისისთვის უმაღლეს ლიგაში დარჩა, ამას უნდა უმადლოდეს მოსკოველ თანაკლუბელებსაც, რომლებმაც გასულ შაბათს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ამ ლიგაში ყოფნის ყოველგვარი იმედი წაართვეს.

ო. ივდოშვილი.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ფილი“ (მოსკოვი) — „ივერია“ (თბილისი) 11:3, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (კიევი) 8:15, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:14, „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — „სლავა“ (მოსკოვი) 7:7.

ამ ტურმა საბოლოოდ დაასახელა ის გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგას უნდა გამოეთხოვონ. ესენი არიან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ კოლექტივები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	15	13	0	2	282:92	26
სსა	16	10	1	5	221:134	21
„სპარტაკი“	15	10	0	5	263:152	20
„ლოკ.“ მ.	15	9	1	5	138:142	19
„სლავა“	15	8	1	6	169:144	17
„ივერია“	15	7	1	7	126:144	15
„ავტომობ.“	16	6	3	7	147:183	15
„ლოკ.“ თბ.	15	5	1	9	115:153	11
მსი	16	3	0	13	133:338	6
„ბურევესტ.“	16	2	0	14	90:207	4

საიმედო პერსპექტივები

კიევი, 12 ოქტომბერი (საკდესი). სპორტულ აკრობატიკაში დღეს აქ დამთავრებულ საკავშირო პირველობაში „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა 262,71 ქულით გარდამავალი თასი მოიპოვა. პირად ჩათვლაში უძლიერესთა მედლები მოიპოვეს: ქალებში — სტავროპოლელმა მხტომელმა ნ. ტიმოფეევამ (38,56 ქულა), წყვილთა ვარჯიშში — კიეველებმა ნ. ტიშჩენკომ და ვ. ზიცმა (37,62), ჯგუფურში — რიგელებმა გ. უდოდოვამ, გ. კორჩემნაიამ და ტ. ისაენკომ (37,36); ვაჟებში — მინსკელმა მხტომელმა ი. ზიკუნოვმა (38,49), წყვილთა ვარჯიშში — ვოლგოგრადელებმა ვ. ალიმანოვმა და ვ. ნაზაროვმა (38,29), ჯგუფურში — არმიელთა ოთხეულმა: ი. ზოლოტოვმა, შ. ვილდანოვმა, ა. მაკაროვმა და ვ. სლეპოკუროვმა.

— ქვეყნის XXVIII ჩემპიონატში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ა. როპოვმა, — მონაწილეობდა 13 სპორტსაზოგადოებისა და უწყების 300-ზე მეტი აკრობატი, რაც ამ მომხიბლავი სახეობის პოპულარიზაციაზე მეტყველებს. მნიშვნელოვნად ამაღლდა ათლეტთა მომზადების დონე. მაგალითად, სამმაგი მალაყი, რომელზეც უწინ აკრობატთა დიდი უმრავლესობა ოცნებობდა, ახლა ბევრისთვის ხელმისაწვდომი გახდა. სასიხარულოა, აგრეთვე, აკრობატიკის გეოგრაფიის გაფართოება, ახალი სახელების გამოჩენა. ნამდვილი აღმოჩენაა უდოდოვას, კორჩემნაიასა და ისაენკოს სამეული. შესაშურ სტაბილურობას ავლენს შეიარაღებულ ძალთა ვაჟთა ოთხეულიც, რომლის კლასი ყოველწლიურად იზრდება. ტრავმისა და ავადმყოფობის შემდეგ სასიამოვნოა ტიმოფეევას დაბრუნება ასპარეზზე. მან ხომ ჩემპიონის სახელი წაართვა ცნობილ ნ. მალობოიშჩიკოვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი
'75

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

11 ოქტომბერს გაიმართა ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

„ჩერნომორეცი“ — ასკ 1:1.
„ზარია“—„შახტიორი“ 1:1.

სტადიონის ეხო

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	24	15	7	2	44—20	37
„ტორპედო“	26	12	7	7	40—28	31
„შახტიორი“	25	11	8	6	35—22	30
„დინამო“ მ.	25	9	11	5	27—21	29
„დნეპრი“	26	10	8	8	31—27	28
„არარატი“	26	12	4	10	35—34	28
„ზარია“	26	9	10	7	31—30	28
„კარპატი“	26	8	10	8	32—27	26
„სპარტაკი“	25	9	8	8	26—25	26
„დინამო“ თბ.	26	10	6	10	29—30	26
„ჩერნომორ.“	26	8	7	11	24—31	23
ცსკა	24	6	10	8	26—28	22
„ლოკომოტ.“	26	5	11	10	24—29	21
„ზენიტი“	25	6	7	12	23—38	19
„ფახთაქორი“	26	7	5	14	25—41	19
ასკ	26	4	7	15	22—43	15

„ლაციო“ არ ითამაშებს „ბარსელონასთან“

რომი, 11 ოქტომბერი. იტალიის საფეხბურთო კლუბმა „ლაციომ“ უარი განაცხადა ესპანეთის „ბარსელონასთან“ უეფა-ს თასის გათამაშების მატჩში შეხვედრაზე.

„ლაციოს“ ხელმძღვანელობის მიერ მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ გუნდის ყველა ფეხბურთელის ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. „ლაციოს“ კაპიტანმა პინო ვილსონმა და კლუბის ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ჯორჯო კინალიამ განაცხადეს, რომ ისინი, როგორც პროფესიონალები, დიდი სიამოვნებით ითამაშებდნენ ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიც „ბარსელონაა“ და მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო ესპანელი სპორტსმენებისა. მაგრამ ამ დღეებში, როცა მთელს მსოფლიოში აზვირთებულია ფრანკოს რეჟიმის საწინააღმდეგო პროტესტის ტალღა, „ლაციოს“ ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სავსებით სწორად მიაჩნიათ.

— „ლაციოს“ ხელმძღვანელთა ადგილზე რომ აღმოვჩენილიყავი, — განაცხადა იტალიის გუნდის „პერუჯის“ მწვრთნელმა ი. კასტანიერმა, — მეც ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებდი. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ლაციომ“ არ უნდა ითამაშოს „ბარსელონასთან“.

იტალიელი სპორტსმენების გადაწყვეტილებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა იტალიის მთელს დემოკრატიულ საზოგადოებრიობაში. ეს ნაბიჯი მოიწონეს იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა დარიო ვალორიმ, იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკური მდივნის მოადგილემ ჯოვანი მოსკამ და სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

[illegible]

გუნდის დევიზია მოძრაობა!

„იმისთვის, რომ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვების შანსები შეინარჩუნონ, ქუთაისის ტორპედოელებმა არც ერთი ქულა არ უნდა დაკარგონ“, — წერდა „ფუტბოლ-ჰოკეის“ მე-40 ნომერში ფეხბურთის მიმომხილველი, სპორტის ოსტატი ა. ლეონტიევი. ყოველკვირეულის ეს ნომერი 8 ოქტომბერს გამოვიდა, მას შემდეგ ქუთაისის „ტორპედომ“ ორი მატჩი ითამაშა შინ (მინსკის „დინამოსთან“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“) და არც ერთი ქულა არ დაუკარგავს. ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს...

ა. ლეონტიევი I ლიგის გუნდებისთვის გამსვლელ ბალად 51 ქულას ვარაუდობს, მაგრამ დღესდღეობით ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქუთაისელებს შესაძლოა ეს 51 ქულა (ყველა მატჩის მოგების შემთხვევაში ისინი სწორედ ასეთ ჯამს დააგროვებენ) უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად არ ეყოთ.

მაგრამ თავი დავანებოთ მკითხაობას. მთავარია, რომ ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობს თანამედროვე ფეხბურთს და, რომ იგი ერთობ იმედისმომცემი, პერსპექტიული და მეგობრული კოლექტივია.

ეს აზრი კარგა ხანია დამებადა და ძალიან გახარებულიც გახლდით, ვინაიდან ამ გუნდის თამაშის სრულყოფას, დახვეწას, ჩამოყალიბებას, სისტემატურად ახალ-ახალი ტაქტიკური ნიუანსებით და ტექნიკური ელემენტებით გამდიდრებას აშკარად, თვალნათლივ ეტყობა ღრმად მოაზროვნე, დაუღალავად მაძიებელი, მახვილი თვალისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე, ფეხბურთის დიდი მცოდნე მწვრთნელის ხელი.

ამ საკითხში, საბედნიეროდ, ორიგინალური არა ვარ, ზემოთმოყვანილ აზრს ბევრი, ძალიან ბევრი იზიარებს, უკეთუ, ყველა, ვინც წლების მანძილზე თვალს ადევნებს ქუთაისის „ტორპედოს“ თამაშს.

ამჯერად ერთი ჩემი თანამოაზრის შესახებ მსურს მოგითხროთ. ეს არის საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მოსკოველი არბიტრი, გამოცდილი მსაჯი და ერთობ სიმპათიური ადამიანი ბ. კაზაკოვი. მას ქუთაისში შევხვდი, როცა მასპინძლებს მინსკის „დინამოსთან“ ჰქონდა მეტად ძნელი და პრინციპული მატჩი.

სანამ გავიცნობდი, იგი თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე თავის თანაშემწეებს რაღაცას უყვებოდა დიდი გატაცებით. თვალებიც კი უბრწყინავდა... და მე გავიგონე ასეთი სიტყვები: „თქვენ მე-17 ნომერს დააკვირდით. საოცრად საინტერესო ფეხბურთელია. მე მისი თამაში ორ-სამჯერ ვნახე და პირდაპირ მოხიბლული დავრჩი. მისი გვარია შენგელია. დიდი ფეხბურთელი გამოვა...“ (თამაშის დროს რამდენიმეჯერ გამახსენდა კაზაკოვის ეს სიტყვები. მან სამჯერ თუ ოთხჯერ „პროფილაქტიკის“ მიზნითაც კი დასტვინა, როცა შენგელიასთან ბრძოლისას მეტოქე გადამეტებულ „მონდომებას“ იჩენდა. მსაჯი ფეხბურთელს უფრთხილდებოდა!).

და აი, მატჩის შემდეგ ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ. კაზაკოვს ძალიან მოეწონა ქუთაისელთა გუნდი და მისი თამაშის შეფასებასა და დახასიათებაში ჩვენი აზრები აბსოლუტურად ემთხვეოდნენ ერთმანეთს: „ტოტალური ფეხბურთი“, „გუნდის დევიზია მოძრაობა“, „ერთი, ორი გადაცემა და უკვე სახიფათო მომენტი მეტოქის კართან“, „გრძელი გადაცემები ფლანგიდან ფლანგზე“, „მონდომება, თავგანწირვა (ჰოკეისტებივით უწვებიან ბურთს), გამარჯვების ჟინი“, „მობილურობა“, „სწრაფი გადასვლა დაცვიდან შეტევაში, შეტევიდან დაცვაში“...

კაზაკოვმა ერთი ძალიან ყურადსაღები ამბავიც თქვა: „მე დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ქუთაისელ ფეხბურთელებს და მათ შესანიშნავ მწვრთნელს ნორაკიძეს იმის გამო, რომ ეს პრინციპული თამაში ზედმიწევნით კორექტულად ჩატარდა. ეს ორივე გუნდის დამსახურებაა, მაგრამ ამ კეთილი გარემოს შექმნაში პირველი სიტყვა მასპინძლებს ეკუთვნით მუდამ. ხომ ცნობილია, მასპინძლები შინ ყოველთვის უფრო მეტის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს — მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილონი ხელებს შლიან, გამომწვევად შეხედავენ ხოლმე მშობლიურ ტრიბუნებს — მხარდაჭერას თხოულობენ, თამამად ეკამათებიან მსაჯს, ზოგჯერ მხარზე ხელსაც კი უთათუნებენ შემწყნარებლურად, მეტოქეებსაც ამაყად დასცქერიან, როგორღაც ალმაცერად უყურებენ. ამის მსგავსი დღეს არაფერი ყოფილა — მინდორზე, მწვავე ბრძოლის მიუხედავად, ნამდვილი სპორტული, მე ვიტყოდი, მეგობრული ატმოსფერო სუფევდა და ყოველივე ამას, ვიმეორებ, ტონს ქუთაისელები აძლევდნენ“.

მერე ა. ნორაკიძეს მიუბრუნდა და დიდი მადლობა გადაუხადა: გუნდში მაღალ დონეზე დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობაო. სრული ჭეშმარიტებაა! ნორაკიძე და კოლექტივის სხვა მესვეურნი ამ საკითხს უდიდეს დროსა და ყურადღებას უთმობენ — ისინი ზრდიან არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ მაღალი ზნეობის ადამიანებს, ნორმალურ მოქალაქეებს.

ეს „ახალზრდელი მასალაც“ მშვენიერია — ახალგაზრდა, სიმპათიური ჭაბუკები, რომლებსაც ძილშიც ფეხბურთი ესიზმრებათ... მათ შუაგულში წლეულს ბერმუხასავით დგას დიდი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა, რომელიც ისე შეეჩვია ამ ახალგაზრდულ კოლექტივს მინდორზეც, საწვრთნელი მეცადინეობების დროსაც და დასვენების საათებშიც, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ამ გუნდში გაუტარებია.

მე არ ვიცი, გადავა თუ არა წლეულს ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში, მაგრამ იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დროთა განმავლობაში ეს ნიჭიერი კოლექტივი სოლიდურობასაც შეიძენს, უამრავი ხელსაყრელი მომენტის უკეთ გამოყენებასაც ისწავლის და ახალ მწვერვალებს შეუტევს, და არა მარტო შეუტევს, აიღებს კიდეც, ვინაიდან ქუთაისის „ტორპედოში“ არიან საუცხოო ფეხბურთელები, რომელთა შემდგომი დახელოვნების საქმე აბარია თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ჩინებულ მწვრთნელსა და პრინციპულ ადამიანს ანატოლი ნორაკიძეს.

მ. ქაქაბაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ქუთაისი.

* * *

სურათზე: ქუთაისის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრის მომენტი. ბურთი გაიტანა რამაზ შენგელიამ (№ 17).

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ევროპის ჩემპიონატი

ესპანელები ლიდერობენ

კვირას ბარსელონის „სორიას“ მინდორზე ევროპის ჩემპიონატის IV შესარჩევი ჯგუფის ლიდერი — ესპანეთის ნაკრები დანიის ეროვნულ გუნდს შეხვდა.

ესპანეთი: მიგელ ანხელი, რამოსი, ბენიტო, კაპონი, მარსიალი, მიგელი, დელ ბოსკე (46-ე წ. ასენსი), სოლსონა, პირი, სანტილიანა, რექსაჩი (61-ე წ. ჩურუკა).

დანია: ბ. ლარსენი, ჯ. ჰანსენი, იანსენი, ლ. ლარსენი, ფლინი, ანდერსენი, ჰ. ჰანსენი, სორენსენი (50-ე წ. ნილსენი), რასმუსენი, ბასტრუპი, დალი.

ესპანეთის ნაკრებს, რომელსაც ძნელი შეხვედრა ელის ბუქარესტში რუმინეთის ფეხბურთელებთან, ამ მატჩში იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. კომენტატორები აღნიშნავდნენ, ესპანელები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებენო.

მატჩი დანიელი ფეხბურთელების სწრაფი შეტევებით დაიწყო და ესპანელთა კარი ზედიზედ ორჯერ იხსნა აშკარა გოლისგან მეკარე მიგელ ანხელმა. შემდგომ უპირატესობა ესპანეთის გუნდის მხარეზე იყო. იგი განუწყვეტლივ უტევდა სტუმართა კარს, მაგრამ დანიელთა დაცვისა და მეკარის თავგანწირული თამაშის გამო ანგარიში მხოლოდ მე-40 წუთზე გაიხსნა: ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა პირიმ თავური დარტყმით პირველი გოლი გაიტანა მეტოქის კარში.

შესვენების შემდეგაც ესპანელთა უპირატესობა დიდი იყო. სტუმართა მეკარე ლარსენმა ბევრჯერ მოიგერია სანტილიანას, პირის, ასენსის და სოლსონას დარტყმები. 85-ე წუთზე დანიელთა საჯარიმო მოედანში შეიჭრა მცველი კაპონი და მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

IV შესარჩევ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

—	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	5	3	2	0	8—5	8
რუმინეთი	4	1	3	0	8—3	5
შოტლანდია	4	1	2	1	4—4	4
დანია	5	0	1	3	3—11	1

(საქ. ინფ.).

ნაბიჯი ფინალისკენ

ციურიხი, 12 ოქტომბერი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს შვეიცარიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც დღეს „ჰარტდრუმის“ სტადიონზე შედგა, ორივე მხარისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტურისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ სსრ კავშირის ნაკრები 4 ქულის აღების შემთხვევაში უკონკურენტოდ გავა ფინალში და რახან ამ 4-დან 2 ქულა საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს, შედეგი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, თუმცა გამარჯვებას მხოლოდ უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს.

პირველ ტაიმში სტუმრებს აშკარად არ გამოუვიდათ თამაში, ხშირი იყო უზუსტობანი გადაცემებისას, რამდენიმეჯერ მოუხდა ძნელი ბურთის აღება რუდაკოვს, ხოლო მოპირდაპირე კართან შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობანი ვერ გამოიყენეს ბლოხინმა, ონიშჩენკომ, ბურიაკმა.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა თამაში გამოასწორა და ამას შედეგიც მოჰყვა: 77-ე წუთზე ლოვჩევის საუკეთესო გადაცემა მიიღო მუნტიანმა, ბურთით გავიდა წინ და ზუსტად გაგზავნა იგი შვეიცარიელთა კარში. ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ტროშკინი (რეშკო), ფომენკო, ზვიაგინცევი, ლოვჩევი, მუნტიანი, კონკოვი, ბურიაკი (სახაროვი), ვერემეევი, ონიშჩენკო, ბლოხინი.

ახლა VI შესარჩევ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	3	0	1	6—4	6
ირლანდია	5	2	1	2	7—5	5
თურქეთი	4	1	2	1	4—6	4
შვეცია	5	1	1	3	4—6	3

ფრე დიუსელდორფში

შაბათს დიუსელდორფში მსოფლიო ჩემპიონმა — გფრ-ის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (VIII ჯგუფი) ითამაშა საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან.

მატჩი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელების ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონთა გუნდმა დიდხანს ვერ მოახერხა ბერძნების დაცვის გარღვევა. მხოლოდ 68-ე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰაინკესმა შეძლო ანგარიშის გახსნა — 1:0.

10 წუთის შემდეგ საბერძნეთის გუნდის წევრმა დელიკარისმა საპასუხო გოლი გაიტანა მეკარე მაიერის კარში.

დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს ეცადნენ ანგარიშის შეცვლას (განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჰოლცენბაინი და კოსტედე), მაგრამ ვერაფერი გააწყვეს: თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

სატურნირო ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საბერძნეთი	6	2	3	1	12—9	7
გფრ	4	1	3	0	5—4	5
ბულგარეთი	4	1	2	1	10—6	4
მალტა	4	1	0	3	2—10	2

(საქ. ინფ.).

VII შესარჩევ ჯგუფში

გუშინწინ ლაიპციგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. დაძაბული თამაში გერმანელ ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

სამივე ბურთი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი.

სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	5	3	1	1	6—3	7
გდრ	6	2	3	1	8—7	7
საფრანგეთი	5	1	2	2	7—6	4
ისლანდია	6	1	2	3	3—8	4

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს გაიმართა ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შორის კომენტატორებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს ლონდონში ადგილობრივი „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ მატჩი. ლონდონელთა შორის გამოირჩეოდა დებიუტანტი კუვილი (იგი ინგლისის ჭაბუკთა ნაკრების წევრია), რომელმაც უკვე მე-2 წუთზე ანგარიში გახსნა. ორივე გუნდი ბევრს უტევდა და სტუმართა ერთ-ერთი იერიში მასპინძელთა კარის ალებით დამთავრდა — 1:1. მატჩის მიწურულს კუვილიმ კვლავ ისახელა თავი: მის სწრაფ რეიდს კარგი გადაცემა მოჰყვა და ტეილორმა მეორე ბურთი გაიტანა „ნიუკასლ იუნაიტედის“ კარში — 2:1.

ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი ანგარიშით დაამარცხა ლივერპულის „ევერტონი“ — 5:0. მინდორზე საუკეთესო იყო ლონდონელთა ნახევარმცველი ჯერი ფრენსისი (იგი ინგლისის ნაკრების ახალი კაპიტანია), რომელმაც ორი გოლი გაიტანა. დანარჩენი გოლები გაიტანეს გივენსმა, მესონმა და თომასმა. ამ მოგებამ ლონდონელები I ადგილზე გაიყვანა.

მეტად ძნელი შეხვედრა მოიგო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლიდსში ადგილობრივ „ლიდს იუნაიტედთან“ — 2:1. მანჩესტერელთა ორივე ბურთი მაკილროიმ გაიტანა, ხოლო ლიდსელმა კლარკმა მატჩის ბოლოს შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა.

„ლივერპულის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტოშაკმა სამი ბურთი მოათავსა „ბირმინგემ სიტის“ კარში — 3:1.

ლონდონის „არსენალმა“ შინ მოუგო „კოვენტრი სიტის“ — 5:0. ორ-ორი გოლი გაიტანეს კროპლიმ და კიდმა, ხოლო მეხუთე ბურთი გუნდის ვეტერანმა ბოლმა გაიტანა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „ნორვიჩ სიტი“ — „დერბი ქაუნთი“ 0:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 5:1, „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:1, „მანჩესტერ სიტი“ — „ბერნლი“ 0:0, „სტოკ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:1.

ლიდერები:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქუინზ პარკ რეინჯერსი“	12	6	5	1	20:7	17
„მანჩესტერ იუნაიტედი“	12	7	3	2	20:10	17
„ვესტ ჰემ იუნაიტედი“	11	7	3	1	18:11	17
„ლივერპული“	11	6	3	2	18:10	15

შოტლანდია

ფეხბურთის რეფორმას ამ ქვეყანაში, რომლის შედეგად I ლიგაში 10 გუნდი დარჩა, გლაზგოს კლუბების „გლაზგო რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ ყოველწლიური „დუელი“ არ მოუსპია. შარშან „სელტიკის“ მრავალწლიან „მეფობას“ ბოლო მოეღო და ჩემპიონი „გლაზგო რეინჯერსი“ გახდა. წლევულსაც „გლაზგო რეინჯერსმა“ „სელტიკზე“ უკეთესად აიღო სტარტი, მაგრამ შაბათს ჩემპიონი ყველასთვის მოულოდნელად სტუმრად დამარცხდა (0:3) „ეირ იუნაიტედთან“ და ლიდერობაც დაკარგა.

„სელტიკმა“, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჩემპიონს, შეძლო „აბერდინის“ დამარცხება — 2:1. აბერდინელები შინ თამაშობდნენ. მატჩი თავიდანვე უხეშობით გამოირჩეოდა და მე-10 წუთზე გლაზგოელი უილსონი მინდვრიდან გააძევეს. მასპინძლებს რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლაზგოელებმა დალგლიშმა და დინსმა ორი გოლი გაიტანეს, რაზეც „აბერდინმა“ მხოლოდ ერთით (სკოტი) უპასუხა. „სელტიკმა“ ლიდერობა იგდო ხელთ.

დანარჩენი შედეგები: „დანდი“ — „სენტ ჯონსტონი“ 4:3, „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:0, „მადერუელი“ — „ჰიბერნიენი“ 2:1.

„სელტიკი“	7	5	1	1	15:7	11
„გლაზგო რეინ.“	7	4	2	1	8:5	10
„ჰიბერნიენი“ (ედინბურგი)	7	3	2	2	9:7	8

იტალია

კვირას ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა პირველი ლიგის დებიუტანტ „კომოსთან“ — 2:2. „მილანმა“ შინ მოუგო გენუის „სამპდორიას“ — 1:0. გოლი გაიტანა ბიგონმა.

რომში „ლაციომ“ ფრედ ითამაშა მილანის „ინტერნაციონალესთან“ — 1:1. ანგარიში რომაელმა კინალიამ გახსნა, საპასუხო გოლი კი მილანელმა ფაკეტიმ გაიტანა.

„ტორინომ“ შინ აჯობა „პერუჯას“ — 3:0. სამივე გოლი პულიჩიმ გაიტანა.

დანარჩენი შედეგები: „ჩეზენა“ — „რომა“ 2:0, „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „ნაპოლი“ 1:1, „კალიარი“ — „ასკოლი“ 0:0, „ვერონა“ — „ბოლონია“ 1:0.

2 ტურის შემდეგ „მილანს“, „ასკოლის“, „იუვენტუსს“, „ლაციოს“, „ნაპოლის“ და „ჩეზენას“ 3-3 ქულა აქვთ.

ევროპის ფეხბურთის ველები

საფრანგეთი

გაიმართა ეროვნული პირველობის მორიგი, IX ტური ლიდერმა „ნიცამ“ დუასა და იუგოსლაველი მუსემიჩის გოლების წყალობით შინ დაამარცხა „პარი-სენ-ჟერმენი“ — 2:1. ლიონის „ოლიმპიკმა“ ასევე შინ სძლია პირველი დივიზიონის დებიუტანტს — ავინიონის „ოლიმპიკს“ — 2:0. ასეთივე ანგარიშით ნიმის „ოლიმპიკმა“ მოუგო „სენტ ეტიენს“. „ტრუამ“ დაამარცხა „რეიმსი“ — 2:1.

უაღრესად დაძაბული გამოდგა მატჩი ლილში, სადაც ადგილობრივი „ოლიმპიკი“ მარსელის „ოლიმპიკს“ მასპინძლობდა. წინ ხან ერთი გუნდი იყო და ხან მეორე. ბოლოს, 87-ე წუთზე, მასპინძელმა კარასიმ შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 4:3.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჟირონდა“ (ბორდო) — „ბასტია“ 3:0, „ნანტი“ — „სოშო“ 2:2, „ვალენსიენი“—„რესინგი“ (ლანი) 1:1, „ნანსი-ლორენი“ — „მეცი“ 0:0; „სტრასბურგი“ — „მონაკო“ 1:0.

ლიდერთა მდგომარეობა ასეთია (გრაფა დ. ქ. დიდი ანგარიშით მოგებული მატჩებისთვის მიღებული დამატებითი ქულების რაოდენობას აღნიშნავს):

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	დ.ქ.	ქ.
„ნიცა“	9	6	3	0	25:8	4	19
„ოლიმპიკი“ (ლიონი)	9	6	1	2	22:13	2	15
„ოლიმპიკი“ (მარსელი)	9	6	0	3	23:17	0	12
„სოშო“	9	4	3	2	13:12	1	12

პორტუგალია

გათამაშების მორიგ, V ტურში ლისაბონის „ბენფიკამ“ შინ დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა ბეირა მარის „ავეირუ“. პირველი ლიგის დებიუტანტმა „სპორტინგ ბრაგამ“ სტუმრად ფრედ ითამაშა „პორტუსთან“ — 0:0. „ბოავისტამ“ სტუმრად დაამარცხა „ესტორილი“ — 2:0, ხოლო გიმარაიშის „ვიტორიამ“ და ლისაბონის „სპორტინგმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

სხვა მატჩების შედეგები: „აკადემიკა“ (კოიმბრა) — „ბელენენსეში“ 0:2, „უნიაუ დე ტომარი“ — „ფარენსე“ 2:2, „ვიტორია“ (სეტუბალი) — კუფ (ბარეირუ) 0:0, „ატლეტიკო“ (ლისაბონი) — „ლეიშოიში“ 1:0.

ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ბენფიკა“	5	20:3	9
„ბოავისტა“	5	11:4	8
„სპორტინგ ბრაგა“	5	6:3	8

(საქ. ინფ.).

ყინულის მოედნებზე

ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს: მოსკოვის გუნდებს — ცსკა-სა და „დინამოს“ 17-17 ქულა აქვთ. ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩება მოსკოვის „სპარტაკი“. ზემოდასახელებულმა კოლექტივებმა 13-13 შეხვედრა ჩაატარეს.

გასულ შაბათს ორი მატჩი გაიმართა: მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა და ქვეყნის ექს-ჩემპიონი „კრილია სოვეტოვი“. [illegible] ადგილობრივი „ტორპედო“ და ნოვოსიბირსკის „სიბირი“.

პირველი მატჩი დიდი სიმწვავით გამოირჩეოდა, და „კრილია სოვეტოვის“ გამარჯვებით დამთავრდა — 6:5 (1:0, 2:5, 3:0).

გორკში ნოვოსიბირსკელებმა მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად. შეხვედრის ანგარიშია 5:1 (1:0, 2:0, 2:1).

„იჩქარე აუჩქარებლად!“

რიგით მეცხრამეტე „ევროპის ტურის“ ავტორალის მონაწილეებს 10 ათასი კილომეტრის გავლა მოუწევთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, იტალიის, ალჟირის, მაროკოს, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების გზებზე.

საბჭოთა მრბოლელები ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში (14-25 ოქტომბერი) მეოთხედ მონაწილეობენ. სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც შეფობას უწევს „ავტოექსპორტი“ (ეს სავაჭრო გაერთიანება საბჭოთა ავტოქარხნების ნაწარმს 75 ქვეყანაში ჰყიდის), თავიდანვე — 1971 წლიდან — წარმატებით ასპარეზობს, უცვლელად იგებს გუნდურ პრიზებს — ოქროსა და ვერცხლის თასებს.

18 „ევროპის ტურიდან“ აბსოლუტური პირველობა 17-ჯერ მოიგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრბოლელებმა, 1974 წელს კი ეს ტრადიცია დაირღვა: 15000-კილომეტრიანი „მოგზაურობა“ 13 ქვეყნის გავლით საჯარიმო ქულების მინიმალური რაოდენობით მოიგო 27 წლის ჰილნიუსელმა ს. ბრუნძამ და 46 წლის რიგელმა ა. კარამიშევმა. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენები ვ. სპრუკტი და ა. კალნაისი გავიდნენ.

საბჭოთა რალისტების წარმატება შემთხვევითი როდია. ისინი 1958 წელს ფინეთში გამართული „ათასი ტბის“ შეჯიბრების დებიუტანტები იყვნენ, წარმატებით იასპარეზეს გიგანტურ მარათონებში „ლონდონი — სიდნეი“ და „ლონდონი“ — მეხიკო“. და აი, ყოველწლიური წარმატებები „ევროპის ტურში“. წარმატების საფუძველი მასობრიობაა. არც ერთ ქვეყანაში ისეთი ყურადღება არ ექცევა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებს, მათ რიცხვში კი საავტომობილო სპორტს, როგორც საბჭოთა კავშირში. აქ ყოველწლიურად საავტომობილო სპორტში 50 ათასზე მეტი შეჯიბრება ტარდება და მათში მილიონამდე სპორტსმენი მონაწილეობს.

სსრ კავშირის ამჟამინდელმა ნაკრებმა ზოგიერთი ცვლილება განიცადა. 1974 წლის „ევროპის ტურის“ გამარჯვებულები სხვადასხვა მანქანებში ჩასხდებიან. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონები სხვა ორ ეკიპაჟს გააძლიერებენ. საბოლოოდ ისინი ასეთი შემადგენლობებით გამოვლენ: მრუნძა — გ. ციმერმანი, და ა. კოზირჩიკოვი — კარამიშევი. სხვა სამ მანქანას წაიყვანენ ძმები კ. და ა. გიდრაუსკასები, ა. რეიმანისი და ა. ზვინგევიცი, სპრუკტი და კალნაისი. ამ ათეულიდან ექვსი მრბოლელი რიგიდანაა, გიდრაუსკასები კაუნასელები არიან, კოზირკევიჩი ტოლიატელი გახლავთ.

რალი არის შეჯიბრება იმ მრბოლელთათვის, რომლებიც სერიული მანქანებით ასპარეზობენ. მართალია, ეს უკანასკნელნი აღჭურვილი არიან საგანგებო სანავიგაციო ხელსაწყოებითა და დაცვითი მოწყობილობებით. საბჭოთა სპორტსმენები „ლადა-1300“-ით („ჟიგული-21011“) გამოდიან. ამ ავტომანქანების მეტოქეები, როგორც ეწინ ახლაც იქნებიან ცნობილი ავტომობილები — რენო, მერსედესი, ბმვ, ფორდი, ოპელი, ტოიოტა...

პირველობისთვის ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ავტომანქანაზე და არანაკლებ შოფერზე და მის „მარჯვენა ხელზე“ — შტურმანზე. შეჯიბრების წესდება თითქოს რთული არ უნდა იყოს: შოფერმა მტკიცედ უნდა დაიცვას გრაფიკი და მოძრაობის მარშრუტი. მაგრამ საჯარიმო ქულებს მიიღებს საკონტროლო პუნქტში დაგვიანებით მისული ეკიპაჟიც და ისიც, ვინც ძალიან იჩქარებს. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ ფინიშამდე ხანმოკლე შესვენება გააკეთონ და მოუცადონ „თავიანთ საათს“. ამისთვის კი საჭიროა გამოავლინონ არაჩვეულებრივი ოსტატობა ამდენ ხვადასხვანაირ ტრასაზე. სპორტსმენებს მოუწევთ ცალკეულ მონაკვეთებზე საშუალოდ 140 კილომეტრი სიჩქარის განვითარება საათში.

მოასპარეზეებს ელით დათოვლილი გზებისა და ალპების გადალახვა, უდაბნო საჰარის ცხელი ტრასების გავლა, მრავალკილომეტრიანი უგზო მონაკვეთები...

გავახსენებთ, რომ შარშან სტარტი აიღო 51 მანქანამ, ფინიშამდე კი 28 ეკიპაჟმა მიაღწია. შემთხვევითი არ არის რალისტების სახუმარო დევიზი: „იჩქარე აუჩქარებლად!“

ვ. გიმენოვი.
(საქდესის კორ.).

მოსკოვი.

ეს სურათი ინგლისის ჩემპიონატის XI ტურის ერთ-ერთი მატჩის („არსენალი“ — „მანჩესტერ სიტი“) მომენტს ასახავს. ლონდონელი ბრაიან კიდი (მუქ მაისურში), რომელმაც ბოლო ტურშიც გამოიჩინა თავი, ებრძვის თავის მეტოქეს მაიკ დოილს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კიდს მარცხენა ფეხზე ბუცი გაძვრა და, მიუხედავად იმისა, რომ ხელში უჭირავს იგი, მაინც ბრძოლის აზარტშია შესული და გვერდს უვლის მანჩესტერელ მეტოქეს.

„მორნინგ სტარის“ (ლონდონი) ფოტო.

ჩემპიონის საზელი და პასუხისმგებლობა

მსოფლიო ჩემპიონი 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ანდრაშ ჰარგიტაი უდიდესი ნებისყოფის, თავშეკავებისა და თავმდაბლობის სიმბოლო, დღეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული სპორტსმენია უნგრეთში.

— ჩემი სპორტული ბიოგრაფია ჯერ კიდევ მოკლეა, — გვიამბობს ანდრაში. — ათი წლის წინათ ჩვენთან სკოლაში მოვიდა ცნობილი მწვრთნელი ტამაშ სეჩი, რომელიც ცურვის სექციისთვის მოსწავლეებს არჩევდა. მან შემაყვარა ცურვა, მისი ხელმძღვანელობით გადავდგი პირველი ნაბიჯები. მას უნდა ვუმადლოდე მსოფლიო ჩემპიონის სახელს. ტამაშმა მასწავლა, როგორ უნდა იყო მთელ დღეს სპორტულად განწყობილი. დილის 6 საათზე იწყება ვარჯიში, 11-დან 4-მდე — სკოლაში მეცადინეობა, გაკვეთილების შემდეგ — ისევ აუზი. ასე მისდევს დღე დღეს. დღეში კვარავ 15, ხანდახან 20 კილომეტრსაც კი, ვებრძვი წამებს.

წლევანდელი წელი განსაკუთრებით ფეხბედნიერია ანდრაშისთვის. მან ორი მსოფლიო ჩემპიონის მედალი და ერთი დიდი საერთაშორისო შეჯიბრების (კალიფორნია) ოქროს ჯილდო მოიპოვა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ მონაწილეობა ვერ მივიღე მოსკოვში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში, — ამბობს ანდრაში. — მოგზაურობამ და შეჯიბრებებმა ცოტა დამირღვია წვრთნის რიტმი. და ტამაშ სეჩიმ გადაწყვიტა ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების დაწყების წინ ხანმოკლე შესვენების საშუალება მოეცა. მე უკვე ბევრჯერ ვყოფილვარ მოსკოვში და მასთან ძალიან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. იმედი მაქვს, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შევხვდებით ერთმანეთს.

ანდრაშის სიტყვით, ცისფერ ბილიკზე იგი გამუდმებით გრძნობს ყველა უნგრელი გულშემატკივრის მხარდაჭერას, მაგრამ მისი ყველაზე თავგამოდებული ქომაგი დედაა. ანდრაში 6 წლის იყო, მამა რომ მოუკვდა. მას შემდეგ შვილის ყველა სიხარულსა და მარცხს იზიარებს დედა — იშტვანე ჰარგიტაი.

— ცურვა ძლიერთა სპორტია, — განაგრძობს ანდრაში. — ზოგჯერ გამარჯვებისთვის საჭიროა არა მარტო ძლიერი კუნთები, არამედ ნაწრთობი მებრძოლის თვისებებიც. მე ამ თვისებებს დიდად ვაფასებ ყველა მეტოქეში. ალბათ ამიტომ ვცემ განსაკუთრებულ პატივს ლენინგრადელ ანდრეი სმირნოვს. მიუხედავად ახალგაზრდობისა, იგი, საუცხოო ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, გამოირჩევა დიდი თავშეკავებით, მუდამ მშვიდადაა და ეს ხელს უწყობს კარგი შედეგების მოპოვებაში თვით დიდ შეჯიბრებებშიც კი.

ანდრაში ამბობს, რომ მის ცხოვრებაში მთავარი სწავლა და სპორტია. საწვრთნელი მეცადინეობებისგან თავისუფალ დროს იგი ხშირად ბიბლიოთეკაში ატარებს. უყვარს კლასიკური მუსიკა. წლეულს სკოლას დაამთავრებს და ბუდაპეშტის სამედიცინო ინსტიტუტში სურს სწავლა განაგრძოს.

— საზაფხულო ოლიმპიური თამაშებისთვის სერიოზული მზადება საჭიროა, — ამბობს ანდრაში. — გამარჯვებისთვის საჭირო შედეგი იქნება 4,25 მაინც. ვნახოთ, ჩემთვის შრომა ყველაზე მთავარია წარმატების მოპოვებაში.

ა. კუზმინი.
(საქდესის კორ.).

ბუდაპეშტი.

რედაქტორი შ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12138